„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—3 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ. 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მან. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

**„დროების“ ფასი მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი. სოფლის მასწავლებელთათვის 6 მანათი.**

**წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.**

---

თავადი რაფიელ ერისთავი

მარტის 7-ს, არწრუნისეულს თეატრში წაიკითხავს

## ლექციას

ქართულს ლიტერატურაზე, მეოთხე საუკუნიდგან მეთვრამეტემდის.

---

## სომხების სკოლების საქმე

თბილისი, მარტის 5-ს

სალაპარაკო საგანს ჩვენს ქალაქში და ბევრგან სხვაგანაც შეადგენს ამ ჟამად სომხების სკოლების საქმე, რომელიც ჩვენს მკითხველებს იქნება კარგად გაგებული ჯერ არც-კი ჰქონდეთ. ჩვენ ფრიად საჭიროდ ვხადით ამ საქმის გაცნობას მათთვის, მხოლოდ, რასაკვირველია, ვალდებული ვართ დავემყაროთ მხოლოდ იმ ცნობებს, რომელნიც ოფიციალურად არიან გამოცხადებულნი და დამატებას ვერაფერს ვიკისრებთ.

«მთავრობის განკარგულებით, — ასე იწყება წერილი გაზეთის «კავკაზის» ოფიციალური ნაწილისა — ამ ჟამად შეუდგენ დაკეტას სომხების ყველა იმ სამრევლო სკოლებისას, რომელთა უფროსებსაც არ უნდათ შეასრულონ ამ სკოლებისათვის დადგენილი წესი».

ამ წესის ძალით სომხების სკოლები, რომელთათვისაც ხარჯსა სწევს მხოლოდ სომხის საზოგადოება, უნდა ამავე საზოგადოების განკარგულებაში იყვნენ, როგორც ხარჯის შესახებ ისე სწავლისა; სავალდებულოა მხოლოდ რუსულის ენის სწავლება და აგრეთვე, იმ სასწავლებლებში, სადაც საზოგადო ისტორიასა და გეოგრაფიას ასწავლიან, რუსეთის გეოგრაფია და ისტორიაც უნდა ისწავლებოდეს და ისწავლებოდეს რუსულად.

მთავრობა სრულიად არ ერევა იმ სასწავლებლების საქმეებში, რომელნიც სასულიერო პირებს ამზადებენ და სომხის პატრიარქის უფლების ქვეშ არიან. იმ სასწავლებლებს შეადგენენ ეჩმიაძინის აკადემია და სასულიერო სემინარიები. რაც შეეხება სამრევლო სკოლებს, წმ. გაიანესი და წმ. რიფსიმეს საქალებო სასწავლებლებს და სხვებს, ისინიც დღემდის სასულიერო წოდების სრულს განკარგულებაში იყვნენ და მთავრობას არა ჰქონდა მათზედ არავითარი ზედამხედველობა.

წარსულ წელს თებერვლის 16-ს გამოიცა კანონი, რომლის ძალითაც უკანასკნელი სასწავლებლები, ესე იგი სამრევლო სკოლები, საქალებო სასწავლებლები და სხვანი თუმცა ისევ სასულიერო წოდების ხელში, მათს გამგებლობის ქვეშ დარჩნენ, მაგრამ სასულიერო წოდებას ვალად დაედო აცნობოს ხოლმე დირექციას სწავლა-განათლებისას, გახსნა ან დახურვა სკოლისა, მათი პროგრამა და სტატისტიკური ცნობები მოსწავლეთა რიცხვზედ. ამას გარდა სასწავლებლის გამგეობამ უნდა აცნობოს იმავე დირექციას, — ვის ნიშნავს მასწავლებლად ხსენებულს სკოლაში და თუ ეს მასწავლებელი რაიმე მიზეზით არ მოეწონება დირექციას, თუ არ შეეფერება იგი «ზნეობრივს სურათს» მთავრობისაგან დასახულს, მაშინ სასწავლებლის გამგეობა ვალდებულია სხვა მონახოს მის მაგივრად.

ეჩმიაძინის სინოდმა, რომელიც განაგებს ამ ჟამად პატრიარქის ამორჩევამდე ყოველგვარ სასულიერო და საერო საქმეებს, ვერ იკისრა ამ კანონის მიღება, რადგანაც მისის წესდების ძალით, რა სასულიერო საქმეებშიაც პატრიარქს უკანასკნელი და გადამწყვეტი სიტყვა აქვს, უიმისოდ ვერ გადასწყდებიან. სინოდი ყველა სკოლების საქმეს სასულიერო საქმედა ჰხადის და ამიტომ ამ გვარს ძნელს პასუხის-გებას ვერა კისრულობს თავისთავზედ; მთავრობას კი იმ სკოლების საქმე, რომელნიც საეროსაც ბევრსა ჰზრდიან წმინდა სასულიერო საქმედ არ მიაჩნია და ვალდებულად ჰხდის სინოდს მიიღოს ის კანონი და ხსენებული სკოლები დირექციის კონტროლ ქვეშ ჩააყენოს.

საქმე ეხლა ამ გვარად არის დაყენებული და რადგან სინოდი სკოლების დაკეტასა რჩევობს თავისის უფლების გადასვლას, დღემდის, როგორც იგივე ოფიციალური წერილი გვაუწყებს, დაიკეტა თბილისში წმ. გაიანეს საქალებო სასწავლებელი, თოთხმეტი კიდევ სხვა და რამდენიმე სასწავლებელი განჯის გუბერნიაში...

---

## შინაური ქრონიკა

= ხელოვნება თან-და-თან იძენს ჩვენში მიმდევართა და თაყვანის-მცემელთ. ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ შრომა ახალ-გაზრდა აფიცრის ბ-ნ. ზედევანიშვილისა, რომელიც სამსახურისაგან გადარჩენილს თავისუფალ დროს მოქანდაკობას ანდომებს. ყმაწვილ-კაცს სწავლა პოლტავის სამხედრო გიმნაზიაში მიუღია და ქანდაკობაც იქ დაუწყია თურმე. ეხლა ამ საგანში საკმაოდ დახელოვნებულა და ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ ბ. ზედევანიშვილსა სწადიან თავის ხელოვნება ჩვენის მწერლების თიხით გამოხატვას მოახმაროს. ამ ჟამად იგი შრომობს გიორგი ერისთვის ბიუსტის გაკეთებისათვის და მასუკან გრ. ორბელიანის ბიუსტს შეუდგება.

= რამდენიმე წლის წინად ინგლისელი მწერალი სმაილსი სამოდო მწერალი იყო. მისი წიგნები: „ხასიათი“, „თვით მოქმედება“, „თვით-განვითარება“ და კიდევ სხვა-და-სხვა «თვითები» შეადგენდენ აუცილებელ კუთვნილებას ყოველი ბიბლიოთეკისას. როგორც სხვა მოდებში უკან ჩამოვრჩებით ხოლმე, წიგნების შესახებაც ისე მოგვივიდა. ევროპაში და რუსეთში

---

«დროების» ფელეტონი, მარტის-5ს.

## ნაქალაქევის სამკურნალო თბილი წყაროები სამეგრელოში. *)

ის მოედანი, რომელზედაც აღმართულნი არიან შენობანი მომსვლელთათვის ბეთლემის სამკურნალო წყაროებზედ, შეიცავს სწორე ვაკის მცირე სივრცეს. სიგრძით იგია არა უმეტეს მეოთხედი ვერსისა, ხოლო სიგანით ათი საჟენი. მოედანს ერთის მხრით აკრავს მაღალი მთა, მეორეს მხრით ჩამოუდის მდინარე ტეხურა. სხვა მხრებით გზები შემოდიან. სადგომები სულ ხისანი არიან და მოკლებულნი ყოველ გვარ სიმარჯვეს: ყოველგან კედლებში სინათლე გამოსჩანს, ყოველგან წვეთი ჩამოდის; ვერ ნახავთ ვერც ტახტს, ვერც სტოლს, ვერც სკამს. ამასთანა ცარიელ ოთახში ერთი დღისა და ერთი ღამისათვის ერთი მანათი და ხუთი შაური უნდა გადაიხადოთ. ცარიელი ადგილები მშვენივრად მდებარე ძლიერ ბევრია და რომ ვინმემ მოიპოვოს აქ მიწა და აღაშენოს იმაზედ შესაფერი და მომარჯვებული სადგომები, ამით ჯერ დაიხსნიდა მომსვლელებს სხვა-და-სხვა გაჭირვებისაგან, თითონაც მოკლე დროში ამოიგებდა ყოველ დანახარჯს და შემდგომ დიდ სარგებლობასაც ნახავდა. მდაბალი ხალხი არ ერიდება ამ უსადგურობას და თუ ვერ იშოვნა ბინა, ბანების დროს გარეთ ცის ქვეშაც გაათევს, მაგრამ ეს გარემოება ხელს უშლის, რომ ნაქალაქევის აბანოებზედ სხვა საზოგადოებამაც იაროს. ამ სადგომებს გარდა არის ერთი სამიკიტნო დუქანი, სადაც შესაძლოა იშოვნოს კაცმა პური, ღვინო, მჭადი, თუთუნი, ხილი და სხვა და სხვა საწვრიმალო; რძეს კი ვერსად ვერ იშოვნით.

თვით ტეხურის მდინარის კიდეზედ აშენებულია ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, რომელიც მღვიმეს მიაგავს: ეს არის თვით აბანო. იქ მიმავალი გზა, განსაკუთრებით ცუდი ამინდის დროს, თითქმის გაუვალია. საწუხარო ისაა, რომ ორმოცი ნაბიჯის მეტი არ არის ამ მღვიმემდის. ამაში არის ოთხი საბანოე აუზი; ესენი ყველანი გარ-შემოზღუდულნი არიან ქვის კედლებითა და თვითოეულს მათგანს თუმცა სრულიად ცალკე შესავალი აქვს, მაგრამ ერთის აუზიდამ ყოველთვის გესმის მეორე აუზში რასაც ლაპარაკობენ. თვითოეულს შესვლაზედ სამ-სამი შაური უნდა გადიხადოთ. აბანოებთან დაყენებული მოსამსახურე მიგიწვევთ, რომ მხოლოდ საათის მეოთხედს, ანუ ნახევარ საათს დარჩეთ აუზში, მაგრამ იმის წინადადებას იშვიათად უგდებენ ყურს, ხშირად იქ საათზედ მეტსაცა რჩებიან და ნებას აძლევენ თავიანთ თავს გიმნასტიკური შექცევისასაც. მომსვლელებმა არ იციან რამდენი უნდა იხმარონ წყალი და თითქმის ყველანი რავდენსამე სავსე ბოთლს ერთადა სცლიან; ზოგნი მომეტებულის სარგებლობისათვის ჩაისაც ამ წყლით აკეთებენ და ისე სმენ. თვითოეულს აუზში თავსდება სამა ანუ ოთხი კაცი. თბილი წყალი შემოდის ხვრელის რგვალი პირიდამ, აუზის ერთის მხრით; იმავე მხრით აქვს მეორე სადენი პირი, საიდამაც ნაბანი წყალი გადის; აქვს კიდევ მესამე პირიც, საიდამაც გადის მომეტებული წყალი. სიღრმე აუზისა ერთ ალაბზედ მეტი არ არის, ხოლო ტემპერატურა წყლისა კარგი ამინდის დროს 26 ° რეომიურისა; ცუდი ამინდის დროს კი 24, 23 ანუ 22 °.

პირველის ივნისიდამ ვიდრე პირველ სექტემბრამდე მაღალი ტემპერატურა აქვს წყალს, მაგრამ შემდგომ, და განსაკუთრებით წვიმიანობის დროს, ეს

*) იხილე „დროება“ № 40.

სმაილსს ბევრნი აღარც კი ახსენებენ და ჩვენს მკითხველებს კი ეხლა უვარდებათ ხელში ეს წიგნი ბ. ი. პ. როსტომაშვილის თაოსნობით. ბ. როსტომაშვილს გადმოუთარგმნია სმაილსის თხზულება, მრავალი წვრილმანი მაგალითები გამოუკლია და ამ გვარად შემოკლებულს შრომას უძღვნის თავის მკითხველებს, რომელნიც, დარწმუნებულნი ვართ ეხლაც კი სიამოვნებით წაიკითხავენ ამ წიგნში უხვად გაბნეულ მაგალითებს სხვა-და-სხვა გამოჩენილ პირთა «თვით-მოქმედებისას». წიგნი არა ღირს ძვირად — 25 კაპ. მალე გამოვა იმავე ავტორის თხზულება «თვით-განვითარება», თარგმანი იმავე ი. პ. როსტომაშვილისა. სწორედ მადლობის ღირსია ბ. ი. როსტომაშვილი, რომ მრავალ საზოგადო შრომასთან ერთად ცდილობს ჩვენს ლიტერატურაშიაც თავისი წვლილი შეიტანოს.

== ბ. მურიეს გადაუთარგმნია რამდენიმე ზღაპარი «სიბრძნე-სიცრუისდამ» ფრანცუზულ ენაზედ და ამ დღეებში გამოსცემს მათ სათაურით «Les Contes Géorgiens».

== ორმოც წელიწადზედ მეტია, რაც გარდაიცვალა ბატონიშვილი თეკლე. ამბობენ იმის სიკვდილის შემდეგ არ გაწმენდილა ის ქუჩა, რომელზედაც ბატონიშვილი იდგა და რომელსაც, დროთა ახირებული ბრუნვის გამო, ეხლა ნემეცების ქუჩა ჰქვიანო. რომ ორმოცი წლის განმავლობაში არ გაწმენდილიყოს, ეს, ღვთის წინაშე ჩვენ არა გვჯერა, მაგრამ, წარმოიდგინეთ თქვენ ამ ქუჩის მდგომარეობა, თუ მის უწმინდურების გამოსახატავად ამისთანა უცნაური ამბის მოგონება დასჭირდათ.

== ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ერთს ჩვენს ახალ-გაზდა მასწავლებელს, ბ-ნს ნასიძეს, შეუდგენია ქართული ქრისტომატია, რომლის დაბეჭდვას უკვე შესდგომიან.

== ჩვენ მივიღეთ გაზ. „მწყემსის“ პირველი ორი №-რი ერთად ყოველთვიური რუსული დამატებისა „Пастырь“. რედაქცია ბოდიშს ითხოვს მკითხველებთან «Пастырь»-ის დაგვიანებისათვის. პეტერბურგში შეკვეთილი ასოები ჯერ არ მიგვიღია და ამიტომაც ორ-პირველს №-ს ასე მცირე შინაარსით ვბეჭდავთო. ამ ხანად „Пастырь“-ში მივაქცევთ მკითხველების ყურადღებას დ. ბაქრაძის წერილზედ ,,Грузинскiе церковные манускрипты въ художественномъ отношенiи‘‘.

== გაზეთს ,,ყარსში‘‘ სწერია: ჩვენ მივიღეთ ნამდვილი ცნობები ყარსის საკარანტინო ტამოჟნიდამ, რომ 1884 წლის იანვრის 1-დამ 1885 წლის იანვრამდე რუსეთის საქონელი გაიტანეს საზღვარ გარეთ 407,683 მან. 75 კაპ. და საზღვარ გარეთის საქონელი შემოიტანეს 179,486 მან. და 18 კაპ. რომელზედაც ბაჟად 10,380 მან. 98 კაპ. აღებულ იქმნა.

== გაზეთ ,,ნოვ. ობოზრ.‘‘ ფოთელი კორესპონდენტი ამბობს, რომ ვიღაც ბ. ტრობანი ფოთში აწესებს საგემო საზოგადოებას, რომელიც პირველ ხანებში ოთხის გემისაგან იქმნება შემდგარი. ეს გემები ივლიან ფოთისა, ბათუმის, ოდესის და სხვა ნავთ-სადგურებ შუა.

== მკვიდრ მცხოვრებთა რიცხვი ქ. ყარსში არის 9006. ამას პირველ-დაწყებით სასწავლებელში სწავლობს 679 მოწაფე ქალი და ვაჟი. (,,ყარსი‘‘).

== ,,Пастырь-ი‘‘ გვაცნობებს. ხმები არისო, რომ საქართველოს სასულიერო უწყებაში დიდი ცვლილებანი უნდა მოხდესო.

## „დროების“ კორესპონდენცია

—

ფოთი, თებერვლის 27-ს. თებერვლის დღეებმა ძალიან ცუდად ჩაიარეს ჩვენთვის. ჯერედ, როგორც იყო მოხსენებული გაზეთებშიაც, აქ გაგვიჩნდა ყვავილი, რომელმაც ბევრი გამოასალმა სააქაოს. მერე მოჰყვა ცივი ღრუბლები და წვიმა შავი ზღვიდგან და ისე გაგვივსო წყლით ჩვენი ქუჩები, რომ ვენეციას მოაგონებდა მნახველს. რაიცა შეეხება მათ განათებას, ის კი ღმერთმა შეინახოს: აქა-იქა ბჟუტავენ გაუწმენდელი ფარნები, მაგრამ ისინიც ხან-დის-ხან ან უნავთობითა ჰქრებიან და ან ქარი აქრობს. ქარი ზარალს გვაძლევს, მართალია, მაგრამ ამ დროებით კი ქვენა-ქარმა ხელი გაგვიმართა: ცოტა არ იყოს, სიცივემ ყვავილი დააცხრო, და სიკვდილობა ამითი შეჩერდა. ფოთის ნავთ-საყუდელი ჯერაც არ დასრულებულა. მის დაუსრულებლობა იყო მიზეზი ფალკენგაგენის გაცარცვისა და მისთვის ოთხი კაცის ჩამოხჩობისა მის კედლების მახლობლად. თებერვლის 27-ს ზემოხსენებული ოთხი ფალკენგაგენის გამცარცველი ჩამოახჩვეს. ჩამოხჩობის დროს ბრალდებულთა მშობლები და სხვა ბევრი უცხო ხალხი დაესწრო. დროგებზედ დაკრულნი ოთხნი ერთად ეშაფოტამდი მოთქმა-ტირილით მიიყვანეს. აქ მღვდელმა ანდერძი აუგო, გარდააცვეს ტილოები და მერე თვითონვე შევიდნენ ეშაფოტზე. ჯალათის სასიკეთოდ ზღვის ქარმა დაუბერა, საპრალონი სვეტებზედ შემოატრიალა და სიკვდილი მოუსწრაფა...

ფოთელი.

## უცხოეთი

—

### ამერიკის შეერთებული შტატები.

გასულის თებერვლის 20-დამ გროვერ კლეველანდი შეუდგა შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანამდებობის ასრულებას. ამ დღიდამ დემოკრატიულის მმართველობის დამკვიდრება გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს შეერთებულს შტატებში, სანამ კი პრეზიდენტობა კლეველანდს ხელთ ეპყრობა. მთელი კაბინეტი გადაყენებულის პრეზიდენტის არჩევისა გამოდის სამსახურიდამ და ახალს მეთაურს რესპუბლიკისას ახალი კაბინეტის შედგენა სჭირია. აი, ამ მომავალის კაბინეტის თაობაზედ აქვთ სჯა ამ ჟამად შტატებში. ყველა ჰკითხულობს, რომელი დასიდამ აირჩევს ახალი პრეზიდენტი თანაშემწეთაო. რომ კლეველანდს მხოლოდ დემოკრატების შეწევნით ეგდო ხელთ პრეზიდენტობა, მაშინ ცხადია, მომავალ თანაშემწეებადაც ამ დასისანი ეყოლებოდენ, რადგან თვით ახალი მეთაურიც რესპუბლიკისა დემოკრატიულს დასს ეკუთვნის; მაგრამ კლეველანდის ამორჩევისათვის თავი დასდვა ესრედ-წოდებულმა დამოუკიდებელ რესპუბლიკურმა დასმაც. ამ გარემოების გამო, ამბობენ, კლეველანდი ეცდებაო, რომ ზემოხსენებულ ორ დასთაგან არც ერთს არ აწყენინოს, თუმცა, ამ გვარი პოლიტიკის დაჭერა დიდად შეაფერხებს ადმინისტრატიულ რეფორმათა საქმესაო. — შეერთებულს შტატებში ძველადგანვე იყო დაწესებული, რომ ყოველი ახალი პრეზიდენტი თანამდებობის მიღებისათანავე უეჭველად მოახდენდა ცვლილებას ადმინისტრაციაში. ყოველი ახლად ამორჩეული მეთაური რესპუბლიკისა ვალად სთვლიდა ღირსეული ჯილდო მიეგო იმათთვის, რომელთა დახმარებით ამორჩეულ იქმნა იგი. ამ წესის წყალობით ყოველის ოთხი წლის შემდეგ ხდებოდა

---

ტემპერატურა მართლა ძალიან დაბლა იწევს: ესეთი განსხვავება უეჭველად მიეწერება ერთის მხრით ატმოსფერის გავლენას და მღვიმის ცუდს სადგომებს, ხოლო მეორეს მხრით — იმ გარემოებას, რომ მღვიმე ძირს არის მომართული, წვიმის წყალი თავისუფლად შედის შიგ და აგრილებს თბილს წყაროებს, თუმცა ცუდი ამინდის დროსაც კი წყაროები წმინდად, ბროლის სახედ კამკამებენ. ამ სამკურნალო წყალს ცოტაოდნად რომ მაღლა ამოიყვანდენ, წვიმის წყლებისაგან დაიცავდენ და მასთან ტეხურის მდინარეს ააცილებდენ, მაშინ, უეჭველია, უმეტესს სარგებლობას მოიტანდა. რადგანაც ძველი კალაპოტი ტეხურის წყლისა ახლო უძევს, შეიძლება დიდის შრომისა და ხარჯის გაუწევლად გარდააგდონ იგი იქვე და შემდგომ ცოტაოდენი ხარჯი იღვირთონ ამ სამკურნალო წყლების ამაღლებისათვის და მათის დაცვისათვის ატმოსფერის გავლენისაგან. მხოლოდ მაშინ იქმნებიან ნაქალაქევის წყლები მართლა დიდად სასარგებლონი.

მოხსენებული სამკურნალო წყალი, როგორც ზემოდ ვთქვი, მჟაკამჟაა და გემო აქვს ნაცარტუტისა და ძლიერ სასიამოვნოც. ქიმიურის ანალიზისამებრ, რომელიც მოუხდენია ზემოდ მოხსენებულს დოქტორს, ამ წყაროს წყალს, გარდა გადამეტებულის ნახშირ-მჟავე გაზისა, აქვს:

ა) ნახშირ-მჟავე ნატრონი, ბ) კირი გ) მაგნეზია, დ) ხლორის გაზი, ე) გოგირდ-მჟავე ნატრონი და ვ) მცირეოდენი რკინის მჟავე და კაჟის მჟავე. იმავე დოქტორის აზრით ეს წყარო ეკუთვნის, ბუნებითვე სამკურნალო ნაცარ-ტუტის წყლების რიგს, რომელშიაც ბლომად არის ნახშირ-მჟავე ნატრონი.

ამ წყაროს წყალს ვინც დალევს, კუჭი კარგად დაუწყებს მონელებას, გაძლიერდება ლიმფატიური სისტემა, ყლაპვა გაუადვილდება, ღვიძლიდამ ადვილად დაიწყებს დენას ბალღამი, შეუმსუბუქდება საშვილოსნო და საშარდე ორგანოები.

გარეგანი ხმარება მისი მოქმედებს მუცლის ორგანოებზედ. როდესაც კაცი აუზში ჩავა და შიგ წყალში ჩაჯდება, მაშინ ადამიანი გრძნობს სასიამოვნო სითბოს მთელს სხეულში და აქვს თავისუფალი კარზედ ყვანა; თუ ეს წყალი თითო სტაქანი მიიღო კაცმა ყოველ სალამოს, ერთი კვირის განმავლობაში, კარგს გუნებაზედა სდგება, მადა ეღვიძება და საჭმლის მონელება უადვილდება. იგი განსაკუთრებით უხდება ფლეგმატიკს — ადამიანს.

აი, ის სნეულებანი, რომელნიც ამ წყაროებით იკურნებიან:

ა) კუჭის მოუნელებლობა, ბ) ტყირპი და ბუასილი, გ) ღვიძლის ტკივილი, სიყაზზე და სევდა, დ) სიმსივნე და დიდიხნის მუწუკები, ე) კანის ტკივილი, რომელიც წარმოსდგება ხან შინაგანი მიზეზებით და ხან გარეთ გაუსვლელობისა გამო, ვ) ქარები და ფილენჯი, ზ) ქალების ავადმყოფობა რიგისა და შვილოსნობის დროს, და ც) ხანგრძლივი სნეულება საშარდო ორგანოებისა და სხვა ამ გვარი.

სისხლ-ჭარბ კაცს ანუ სისხლის-სიჭარბის ნიშნების მქონს, აგრეთვე იმათ, რომელთაცა აქვთ სისხლის დინება, სისხლით მუცელში ყვანა, სისხლით ხველა და ციებით ავადმყოფს ეს წყლები არავითარს სარგებლობას არ მოუტანენ. გარდა ამისა ამ წყლებში ბანაობა და სმა აკრძალული აქვთ ორსულ ქალებს.

შეიძლება ეს წყალი დალიოს კაცმა ორი სტაქნიდამ რვა სტაქნამდე ყოველ დღე, მხოლოდ ერთის მიღებიდამ მეორედ მიღებამდე უნდა გაიარ-გამოიაროს. სუსტის აგებულების ადამიანმა, პირველად დღეში ერთს ბანებას არ უნდა გადაამეტოს; შემდგომ ორჯერაც შეიძლება და მეტჯერ კი არა. აბანოს აუზში დარჩენა შეიძლება 1/4 ვიდრე 1 საათამდე. სრული კურსი ბანებისა არის 25-დამ ვიდრე 30-მდე, მაგრამ შეიძლება გაგრძელდეს 60 ბანებამდეც. თუმცა-ღა მოხსენებულის დოქტორის აზრით ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლმე ძირითადი ცვლილება ადმინისტრაციაში, რასაც მეტად ცუდი გავლენა ჰქონდა სახელმწიფო ინტერესებისათვის.—ახალმა პრეზიდენტმა ბოლო მოუღო ამ წესს: ამორჩევისთანავე მან განაცხადა, რომ არავითარს ცვლილებას არ მოახდენს ადმინისტრაციაში, რომ მისთვის სულ ერთია, რომელს დასსაც უნდა ეკუთვნოდეს ადმინისტრაციის წევრი, ოღონდკი იგი თვის საქმეს რიგიანად და სამართლიანად ასრულებდეს. ამ ცვლილებაზე დიდს იმედს ამყარებენ შეერთებულს შტატებში; ამბობენ დიდს ნაყოფს მოიტანს იგიო.

**საფრანგეთი.** ერთის თვის სჯის შემდეგ ეხლა, როგორც იყო, დააბოლოვა დეპუტატთა პალატამ ხორბალზე ბაჟის დადების საქმე. ბაჟი არის 3 ფრანი ას კილოგრამზე.

ჩინეთში ფრანცუზების ჯარი მარჯვედ მოქმედობს. ადმირალ კურბესაგან კუნძულის პოოტოს დაჭერამ, დიდი აღელვება გამოიწვია ჩინელებისა, რომელთაც ეს კუნძული წმიდად მიაჩნიათ.— ჩინეთის სატახტო ქალაქში ხმებია გავრცელებული, ვითომ მოწვეულნი იყვნენ ყველა სახელმწიფოს წარჩინებულნი პირნი, რომელთაც უნდა რჩევა ჰქონოდეთ—განაგრძოს ჩინეთმა ომი თუ მორიგებაზე მოლაპარაკება გამართოს საფრანგეთთანაო.

**ინგლისი.** ნემეცურს გაზეთებში იწერებიან ლონდონიდამ, რომ ყველა უმთავრესს ქალაქებში დიდ-ბრიტანიისა და ირლანდიისა დიდი ფაცაფუცი ასტეხა კორპუსის უფროსებისაგან ძილებულმა მოწერილობამ ინგლისის ჯარის წინამძღოლისამ, რომელიც ითხოვს ხსენებულის უფროსებისაგან მოიყვანონ ცნობაშიო—ერთის თვის განმავლობაში რამდენი რიცხვი ჯარისა შესაძლოა მოიკრიბონ და გაამზადონ საომრადაო. ყოველს ქალაქში ექიმები ამოწმებენ მეომართ და მხოლოდ მცირე ნაწილი აღმოჩენილა უვარგისად ომისთვის. ხმებია, რომ დიდ-ძალი ჯარი უნდა გაიგზავნოს ინდოეთისაკენ, რადგან ავღანის სამზღვრებისკენ შავი ღრუბლები გამოჩნდენო. რამდენიმე რაზმმა უკვე მიიღეს გამგზავრების მოწერილობა. მოკლეს ხანში მომქმედი რაზმი, რამდენადაც კი შესაძლებელია, უნდა შეივსოს, რომ ყოველს წამს შეიძლებოდეს ამის გაგზავნა იქითკენ; საიდამაც შიში მოსალოდნელია.

**შვეიცარია.** ერთი საუკეთესო, თბილი ბუდე ანარქისტებისათვის შვეიცარია იყო. მაგრამ დღეს, რაკი ეს ქვეყანაც აღარ დაინდვეს ანარქისტებმა, ამანაც გამოსცა ბრძანება, რომ ამიერიდამ ანარქისტებს დახშული ექმნებათ ჩემმიერ კარებიო და მხოლოდ შემოხიზნულ პოლიტიკურს დამნაშავებს ვუმასპინძლებთ. აუარებელი ანარხისტები დაატუსაღეს შვეიცარიის დედა-ქალაქს ბერნში. ატუსაღებენ აგრეთვე სხვა ქალაქებშიაც.

## ტელეგრამები

,,ჩრდილოეთის სააგენტოსა''.

მარტის 1-ს.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო რჩევამ იმ წესდების მაგივრად, რომლის ძალითაც ფილოქსერის მოსპობისათვის სხვა-და-სხვა ზომები იყვნენ მიღებულნი, დაადგინა, რომ აღიკრძალოს რუსეთში ყველგან სამზღვარ-გარეთიდამ შემოტანა ბაღის მიწის კომპოსტისა, ვაზის რქებისა, სარისა, თვითონ ვაზისა, და ყოველივე ვაზის ნაწილისა, გარდა მარცვლისა და კურკისა. შემოტანა დანარჩენის მცენარეულობისა, ყურძნისა და ჭაჭისა შესაძლოა მხოლოდ განსაკუთრებული ტამოჟნებით. დადგენა წესებისა და ტამოჟნების დანიშვნა მინდობილი ექმნება სახელმწიფო ქონებათა მინისტრს. შეიძლება გასყიდვა და გატანა მხოლოდ ერთ წლოვანი ვაზის რქებისა.

გასწორება: უკანასკნელი ტირაჟის სქემაში ხუთი ათასი მანათის მომგებიან ბილეთებში 15,504-46, მაგიერ უნდა იყოს 15,704-46.

**ბერლინი.** ,,ჩრდილო-გერმანიის საზოგადო გაზეთი'' ამბობს. ჩვენ მოგონილი გვგონია, ვითომც რუსეთს განძრახვა ჰქონდეს გერატის დასაკუთრებისა. რამდენადაც ვიცით, საქმე გერათს კი არა, თურქმენების საძოვრებს და ყაჩაღობის მოსპობას შეეხება წესიერის სამზღვრის დამყარებით.

**გონკონგი.** საფრანგეთის კრეისერებმა შეიპყრეს ბრიტანიის გემი ,,Clenroy'', რომელსაც მიჰქონდა სამხედრო კონტრაბანდად--ტყვია.

**პარიჟი.** გენერალი ბრიერ დელილი იუწყება: ჩინელებმა დაინახეს თუ არა, რომ ფრანცუზები გზის შეკვრას უპირებენ, ტონკინიდამ სამზღვარზედ გადავიდნენ და ჩინეთისკენ წავიდნენო.

**თეირანი.** ლემსდენი და ინგლისის წევრები მოსამზღვრე კომისიისა ეხლა სპარსეთის სამფლობელოში იმყოფებიან, გერატის ახლოს.

**ლონდონი.** ბრიტანიის მმართებლობამ გუშინ საღამოს მიიღო რუსეთის მთავრობისაგან რწმუნება, რომ იგი თავის მხრით მშვიდობიანობას არ დაარღვევს.

მარტის 2-ს.

**პეტერბურგი.** გუშინ მათი იმპერატორებითი დიდებულებანი უავგუსტესის შვილებითურთ საცხოვრებლად გატჩინაში გადავიდნენ.

**პეტერბურგი.** უწმინდესმა სინოდმა დაადგინა, რომ აპრილის 6-ს წმ. მეთოდესა და კირილეს გარდაცვალების ათასი წლის დღეობა ყველგან იდღესასწაულონ იაზმის სხურებით და მთელი დღე ზარების რეკით; ეგრეთვე ამ დღისთვის გამოიცეს კირილესა და მეთოდეს ლოცვანი და მათი ცხოვრების სრული აღწერა.

,,Journal de S-t Pétersbourg'' ლონდონისა და რაოდენადმე ბერლინის ბირჟის ცუდს მდგომარეობას, რომელმაც პეტერბურგის ბირჟაზედაც გავლენა იქონია, მიაწერს მხოლოდ ბირჟის თამაშობას, რადგანაც ლონდონის კაბინეტის მოთავისაგან საქმეთა ვითარების ახსნის შემდეგ გამოაშკარავდა, რომ ავღანის საქმის შესახებ შიში უსაფუძვლოა. სამზღვრის გამოკვლევა დაშორებულს ადგილებში, მეტადრე ერთმანეთის წინააღმდეგობის დროს, რასაკვირველია, გაჭირვებას ჰბადავს: მაგრამ მოლაპარაკება ჯერ არ შეწყვეტილა და ამასთანავე არამც თე ცხადი სურვილი, არამედ სრული რწმუნებაცა აქვთ, რომ საქმე პრაქტიკულად დაბოლოვდება: ინგლისისა და რუსეთის შორის იმ ქვეყნებში მშვიდობიანობა უნდა ჩამოვარდეს და მეგობრული დამოკიდებულება განმტკიცდეს.

**მოსკოვი.** ძმათა დ. და ნ. ბოტკინთა ვალის გადახდაზედ უარი სთქვეს. პასივი არის 1,360,000. კრედიტორებს იმედი აქვსთ, რომ მანათზედ 50 კაპ. მაინც მიიღონ.

**ბერლინი.** რეიხსტაგის გუშინდელს სხდომაზედ, იმ კანონ-

---

აბანო მოუტანს კაცს სასურველ სარგებლობას ივნისის პირველიდამ ვიდრე აგვისტოს პირველამდე, მაგრამ ადგილობრივნი მცხოვრებნი ბანაობენ ოქტომბრამდეც და სასურველს შემსუბუქებასა გრძნობენ.

აქ მყოფობის დროს კაცი უნდა ერიდოს მაგარ სასმელებს, გულის აშფოთებას და ზომიერს ცხოვრებას მისდევდეს.

მაგალითითა და გამოცდილებით შეტყობილია, რომ ზაფხულში კარგი ამინდის დროს ტემპერატურა წყლისა აიწევა და ბანებაც ამ დროს უფრო უხდება კაცს.

იქნება ვინმემ სთქვას, რომ ბეთლემის სამკურნალო წყლები მართალია ოდესმე ყოფილან კარგნი, მაგრამ დღესაც ისეთნი არიანო? ანუ არის ვინმე, რომ მიიღოს ამ წყლებისაგან რაიმე შემსუბუქება თავის სენისაგანაო?

პირველი კითხვის პასუხად უნდა ვსთქვა, რომ უკეთესი იქნებოდა, ახლავე ახალი ქიმიური გამოკვლევა ექმნათ მოხსენებულის სამკურნალო წყალისა და შეედარებინათ მასში ნაპოვნი ნაწილები იმ ნაწილებისათვის, რომელნიც 1850 წელს იპოებოდენ. მე ვგონებ, განსხვავება უნდა იყოს მათ შორის, რადგანაც ტემპერატურაშიაც საკმაო განსხვავებაა.

გარდა ამისა, საჭიროა გამოკვლევა იმ სამკურნალო წყაროსიც, რომელიც არის ტეხურის მდინარის მეორე ნაპირზედ, მღვიმის პირ-და-პირ და რომლითაც სარგებლობენ მხოლოდ დაბალის წოდების პირნი. ვინ იცის, იქნება მისი სამკურნალო ძალა უფრო მაღლა იდგეს იმ წყაროებზედ, რომლებითაც მაღალის წოდებისანი სარგებლობენ. შემდგომ უნდა მიექცეს ყურადღება იმ ადგილსაც, რომელიც მდებარეობს მეორე დიდის ხიდის მახლობლად და თავის სიცხელით განთქმული იყო (32 o), მაგრამ დაკარგულ იქმნა.

არა ერთისა, არამედ ათასი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომელნიც ამტკიცებენ ბეთლემის წყაროების სამკურნალო ძალასა. განსვენებული ლ. ქ—შვილი, ცხრამეტის წლის განმავლობაში იტანჯებოდა გამუდმებულის ძვლების ტკივილისა და ტეხისაგან ხელებსა და ფეხებში, ჰქონდა უძილობა, მაგრამ სრულიად განთავისუფლდა თავის მძიმე სენისაგან ბეთლემის წყლების საშუალობით. გარდა ამისა მრავალნი არიან სხვა-და-სხვა წოდებისანი ადგილობრივნი მცხოვრებნი, რომელნიც ამ წყლების წყალობით მორჩენილან. მრავალნი იტანჯებოდენ თავის ტკივილით, ბუასილით, ძვლების ტკივილით, კუჭის კატარით, ხელებისა და ფეხების მოდუნებით, დედათა-ავადმყოფობით და ამ წყაროებით განიკურნენ. დიდი ხანი არ არის, რაც ამ წყლების იჯარადარმა ზ. ჯიჯიხიამ გაუგზავნა რაოდენიმე მჭიდროდ დაცობილი ბოთლი ამ სამკურნალო წყლისა ერთს ოდესის მცხოვრებს, რომელიც თურმე გასაოცრად იტანჯებოდა თავის ტკივილით და დიდი ხანი არ არის, რაც მოხსენებულს ჯიჯიხიას მადლობის წერილი მოუვიდა. ოდესელი სწერს, რომ სრულიად განვთავისუფლდი საშინელის თავის-ტკივილისაგანაო.

როდესაც მეცნიერება და მისნი წარმომადგენელნი წარმოსთქმენ თავიანთ ჭეშმარიტს განჩინებას ბეთლემის სამკურნალო წყლებზედ და როდესაც ამ წყაროების მახლობლად აშენდებიან მარჯვედ მოსათავსებელი სადგომები, უეჭველია, მრავალნი უარს ჰყოფენ და აღარ ისურვებენ პატიგორსკში და აბასთუმანში წასლვას.

მეორე ჩემი წერილი იქნება ტყვარჩელის გოგირდის წყაროებზე, აფხაზეთში, რომელთ სამკურნალო თვისება აგრეთვე არ არის საეჭვო.

კოწია მაჭავარიანი.

ქ. სოხუმი.
თებერვლის 17-ს.

ბიბლიოთეკა

პროექტის შესახებ მოლაპარაკების დროს, რომლის ძალითაც ცეცხლის-გემების საზოგადოებას სუბსიდია უნდა მიეცეს, ბისმარკმა სიტყვა წარმოსთქვა და ამტკიცებდა გერმანიისაგან შეძენილს კოლონიების სარგებლობას; აგრეთვე აცნობა, რომ ინგლისთან მოლაპარაკება შესახებ კამერუნისა, იმედია, კეთილად გათავდება. ბისმარკმა სიტყვა იმით დაასრულა, რომ სთხოვა პალატას იმპერიის კეთილ-დღეობას ნუ ატერხებთ პარტიისა და სარწმუნოებათა განხეთქილებითაო. ეს სიტყვები პალატისაგან და საზოგადოებისაგან ადტაცებულის ტაშის კვრით იქმნენ მიღებულნი.

**შანხაი.** საფრანგეთის ესკადრამ დაანგრია ხინხაის სიმაგრის ნაწილი, რომელიც გზას უკრავდა მდინარე ნინგ-პოსკენ მიმავლებს.

მარტის 3-ს

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ დაუნიშნა 20 ათასი გირვ. სტერლინგი ხართუმში მოკლულის გენ. გორდონის ოჯახს.

**ბერლინი.** იმპერატორის ვილჰელმის დაბადების დღისათვის, მარტის 22, მოვლენ აქ უელსის პრინცი და ედინბურგის ჰერცოგი. ეს იმის ნიშნად მიაჩნიათ, რომ გერმანიისა და ინგლისის შორის სრულიად მეგობრული კავშირი დამკვიდრდა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატის გუშინდელს სხდომაზედ გლადსტონმა გამოაცხადა: ინგლისისა და რუსეთის შორის თანხმობა ჩამოვარდა იმის შესახებ, რომ ავღანისტანის სამზღვართან საცილობელ ადგილზედ არც ერთმა მხარემ წინ აღარ წაიწიოს. რაც შეეხება სამზღვრის გაყვანას, — ამაზედ კიდევ ლაპარაკია და ძნელია ეხლავე ითქვას, თუ საქმე რა გზით დაბოლოვდება. იმ კითხვაზედ, — ავღანელები გამოვიდენ თუ არა თავიანთ ტერიტორიიდამ, გლადსტონმა არაფერი მიუგო და მხოლოდ ესა სთქვა -- ჩვენის მთავრობის მოვალეობაა — დავიცვათ ავღანელებისათვის ის ტერიტორია, რომელზედაც მათ უფლება აქვთ და მმართველობა ამ მოვალეობას აასრულებსო.

ბომბეისა და ბენგალიის არსენალებს ებრძანათ -- მზად დაიჭირონ ყოველ-გვარი საომარი მოწყობილობა. ორს არმიის კორპუსს ამზადებენ; თითოში იქმნება 28,000 ქვეითი კაცი, 8,000 ცხენოსანი და 90 ზარბაზანი. შეუდგენ აგრეთვე სატრანსპორტო გემების მომზადებას.

---

## ცნობანი

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 მარტიდამ 1 აპრილამდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 | გ. | $2^{1}/_{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2^{1}/_{2}$ |
| ჭვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^{1}/_{2}$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 9 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | |
| მეორისა — — | —1 | გ. | |

### რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

---


## განცხადებანი

### დაყიდვა

ნახევარ ფასად: ტანისამოსი, ქუდები, ჩოთქები, პენალები, კრაწები, ნიჩბები, სურათები, საფხეკი, სახეხი, ქაღალდი, პორტსიგარები, სალესავი და სხვ. და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.** (10—2)

### რამაშკა ბურელისა

საუკეთესო საშუალება აქამომდე ცნობილ საშუალებათა შორის.

უეცრად სწყვეტავს ყოველ-გვარ შინაური მწერს, როგორც მაგ. ჭრიჭინებს, პრუსაკებს, ბაღლინჯოებს, რწყილებს, ჯიანჭველებს, ნამის ჭიებს და სხვ.

იგი მოქმედობს უეცრად,

არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მავნებელს ნივთიერებას. რომ არავინ არ მოახერხოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამოგონება, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება გამომგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ ,,რამაშკა ბურელის'' ყველა კოლოფზეა.

ფასი კოლოფისა 75 კაპ. და 40 კაპ.

ისყიდება ყველა რუსეთის საუკეთესო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო ამიერ—კავკასიისათვის არის თბილისში ,,კავკასიის საზოგადოება სააფთიაკო საქონლით ვაჭრობისა და მის განყოფილებში ბაქოს. .Ц 19,485

(25—17)

### გაყიდვა 5% სახელმწიფო მომგები ბილეთებისა

ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ბილეთები იყიდება ს. პეტერბურგის ბირჟის ოფიციალური ფასად; ყიდვის დროს უნდა შემოტანილ იქმნას 20 მან. ბილეთზე, დანარჩენი ფულიკი უნდა შემოიტანოს მყიდველმა თვე-და-თვე, როგორც თვითონ განსაზღვრავს — თითო თუმნობით, თუ ხუთ-ხუთ მანათობით. პადაზე შემოსატანი გადასახადის დამგვიანებელს ეძლევა კიდევ 30 დღე საშეღავათოდ. ბეის მიცემის დღიდან ყოველივე მოგება, რომელიც ხვდება ნაყიდს ბილეთს, სრულად ეკუთვნის მყიდველს. კანტორის სასარგებლოდ არაფერი არ გამოერიცხება მომგებს. ბილეთის მყიდველს ეკუთვნის აგრეთვე ყოველივე მოსალოდნელი საკურსო ფასის მომატება ბილეთზე. მოგების ტირაჟი არის ხოლმე: პირველი სესხის ბილეთებისა — იანვრის 2-ს და ივლისის 1-ს; მეორე სესხის ბილეთებისა მარტის 1-ს და ენკენისთვის 1-ს ყოველ-წლივ შემდეგის პლანით: ერთი მოგება არის 200,000 მანათიანი, ერთი 75,000 მან., ერთი 40,000 მანათიანი, ერთი 25,000 მანათიანი, სამი 10,000 მან., ხუთი 8,000 მან. რვა 5,000 მან. ოცი 1000 მან. და ორას სამოცი 500 მანათიანი. მომგები ბილეთის დაზღვევა რომ ტირაჟში არ გამოვიდეს ღირს — ათი შაური ბილეთზე. **აგენტი ს. პეტერბურგის ბანკირის ფ. ა. კლიმის კანტორისა: ი. კ. საულიძე ბათუმში.**

ზემო-ხსენებული კანტორა ამით ამოწმებს, რომ აგენტი **ი. კ. საულიძს**

მინდობილი აქვს ჰქონდეს კანტორის სახელით ხელდი ფულის დაცალებით 5% სახელმწიფო მომგები ბილეთები ორთავე სესხისა, აგრეთვე მიიღოს ისინი დასაზღვევად ტირაჟში გამოსვლიდან, თანახმად კანტორისაგან მიცემულის ვექილობისა.

ბანკირის კანტორა ფ. ა. კლიმისა ს. პეტერბურგში.

(10—9)

### ПОДПИСКА

**На политическую и литературную газету**

# ВОСТОКЪ

### НА 1885 Г.

Газета ВОСТОКЪ служитъ органомъ православныхъ восточныхъ народовъ, выходитъ до двухъ разъ въ недѣлю.

**Подписная цѣна:** съ доставкою и пересылкою за годъ 8 руб. за ½ года 4 руб. 50 коп. За границу за годъ 10 руб. за ½ года 5 руб.

**Подписка принимается:** ВЪ МОСКВѢ. въ редакціи, у малаго камен. моста, Д. Полякова.

(10—4)


*Доз. ценз. Тифлисъ, 4 Марта 1885 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.